საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/100 "17" ივლისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. ჯეირანაშვილის ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 26 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 1 ივლისს მიღებულ იქნა ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის განცხადება. 2020 წლის 17 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელდა კონსულტაციები ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას, განმცხადებელთან ერთად, ესწრებოდნენ მოსამართლეები: ლუიზა თოდუა, ანაიტ ოგანესიანი, მარიკა ჩიტაშვილი. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ გ. ჯეირანაშვილს აქვს ახალციხის რაიონულ სასამართლოში თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილება და ამ პერიოდს და მის საქმიანობას როგორც მოსამართლეები, ისე აპარატის თანამშრომლები აფასებენ მხოლოდ დადებითად. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ გ. ჯეირანაშვილი არის კარგი მენეჯერი, აქვს ნოვატორული იდეები და გამოირჩევა გუნდურობით. მათ ასევე აღნიშნეს, რომ გ. ჯეირანაშვილის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნით თანამშრომელთა შორის შენარჩუნდება ჯანსაღი და კონკურენტული გარემო. გ. ჯეირანაშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 11-წლიანი, მათ შორის 6 წელი სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გოჩა ჯეირანაშვილი დაინიშნოს ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, 2020 წლის 20 ივლისიდან, 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი